ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში
განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში
მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის
გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 მარტის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 5

2022 წლის 22 მარტი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, პაატა გოგოლაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინა ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, ლენა აბაშიძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 22 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

პეტრე შარიქაზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასრტუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი

ნ. კაპანაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი

ს. გლუნჩაძე -ოპერატორი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 22 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასრტუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - **საქართველოს სახელმწიფო**

ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მერის მიერ წარმოდგენილი პროექტების დამტკიცებისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის დასახლებების მიხედვით განაწილების შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ

თქვენს წინაშე განსახილველად წარმოდგენილი პროექტის შედგენის დროს, მაქსიმალურად ვეცადეთ, გათვალისწინებული ყოფილიყო მოსახლეობის ინტერესები, არცერთი სოფლის ინტერესი არ დარღვეულა, საკრებულოს წევრთა აქტურობით, შედგა ეს ნუსხა, არ გავჩერდეთ აქ, ვიაქტიუროთ, აუცილებელია კომპეტენტური მეწარმეების შერჩევა.

დ. კიკნაძემ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, აღნიშნა, რომ ჩემს სამაჟორიტარო ოლქში- სარანძილეში 4 პროექტია გასაკეთებელი, ხომ შეიძლება განისაზღვროს ამ ოთხივე პროექტის კილომეტრაჟი და გამოცხადდეს ისე ტენდერი პროექტირებაზე?

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ არ არის პრობლემა, ერთი ტიპის სამუშაოების დაჯგუფება შეიძლება.

პ. კიკალიშვილმა დასვა შეკითხვა საწვავის ფასის გაზრდა ხომ არ გამოიწვევს გადაფასებას?

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ გადაფასება მოხდება იმ ფარგლებში, სადამდეც გაგვიშვებს კანონი.

კ. ბერაძემ ფრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა სამუშაო პროცესში ადგილობრივი კარიერებიდან სამშენებლო მასალების მოპოვებასთან დაკავშირებით.

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, ყველაზე არ მოგვცეს თანხმობა, ვცდილობთ ზონალური კარიერების შექმნაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 22 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე